საზოგადოებასთან
კომუნიკაციის
განვითარების
სააგენტო

0160 , თბილისი, ჟ. შარტავას ქ.7
7 Shartava str. 0160, Tbilisi, Georgia

www.tbilisi.gov.ge

ქ.თბილისიის მერიის ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტო“ აცხადებს კონკურსს

1. **პროექტის შესახებ:**

ხანგრძლივი, ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული და სხვადასხვა აქტივობებით დატვირთული კამპანიით უნდა გამოჩნდეს, რამდენად მნიშვნელოვანია, ერთად ვიზრუნოთ ქალაქზე და გავუფრთხილდეთ მას. აღნიშნულმა კამპანიამ ერთი მიზნის და იდეის ირგვლივ უნდა გააერთიანოს როგორც საზოგადოება, ასევე სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სექტორი.

თბილისის მერიის მიერ უკვე აღსრულებული პროექტების შენარჩუნებისთვის და შესაბამისი სამსახურების საქმიანობის ეფექტურობის ზრდისთვის, საჭიროა პასუხისმგებლობის წილი მოსახლეობამაც იგრძნოს. ხშირია, საერთო სარგებლობის სივრცეში დაფიქსირებული ვანდალიზმის და ქურდობის ფაქტები. კეთილმოწყობის და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე წლის მანძილზე მილიონობით ლარი იხარჯება. აღნიშნული სამუშაოების წარმოებას სჭირდება როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსი. გაუფრთხილებლობისა და ვანდალიზმის გამო, საჭირო ხდება სამუშაოების განმეორებით ჩატარება. გარდა ამისა, არსებობს შემთხვევები, როცა მოსახლეობა აბინძურებს ქალაქს, რაც ასევე დამატებითი რესურსის მობილიზებას საჭიროებს. ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები აფერხებს დედაქალაქის განვითარების პროცესს, რაც აისახება როგორც ქალაქის იერსახეზე, ასევე თითოეული მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

2. **კამპანიის მიზანი:**

ფართო საზოგადოებაში განვითარდეს დედაქალაქის მიმართ სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა და ზრუნვის კულტურა. შეიქმნას ისეთი ღირებული პროდუქტი, რომელიც დაიწყებს შეუქცევად პროცესებს, რაც მეხსიერებაში და ჩვევებში ხანგრძლივად დატოვებს კვალს; იმოქმედებს თითოეული მოქალაქის შეგნებასა და ცნობიერებაზე; გამოიწვევს მოსახლეობის ქმედებას ქალაქის სასიკეთოდ.

3. **კონკურსის პირობები**

- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იურიდიულ პირებს;
- კონკურსში დაიშვება კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება;

- საკონკურსო წინადადება უნდა შეესაბამებოდეს სოციალური კამპანია „გაუფრთხილდი ქალაქს“ ფარგლებში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის („თბილისის მოსახლეობა და ქალაქზე ზრუნვა“, „ეისითი“- ACT, თბილისი, მაისი, 2018) ანგარიშს და ტექნიკურ დავალებას („ბრიფი“).
- საკონკურსო წინადადების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 544 200 (ხუთას ორმოცდაოთხიათას ორასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით;
- პროექტის ფარგლებში გამოყოფილი თანხიდან არ ანაზღაურდება ძირითადი საშუალებების შესაძენი ხარჯები;
- კონკურსში მონაწილე ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს სარეკლამო ბაზარზე ოპერირების, სხვადასხვა სარეკლამო პროექტისა და კამპანიის განხორციელების მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება, რომელიც უნდა დაადასტუროს საკონკურსო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;
- იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში მონაწილეობის მსურველი კომპანია დარეგისტრირდა ბოლო სამი წლის განმავლობაში (შექმნა ახალი კომპანია, მოახდინა რეორგანიზაცია და ა.შ.), მაგრამ კომპანიის შემოქმედებითი გუნდის დიდ ნაწილს, ამ მიმართულებით მუშაობის სამ წელზე მეტი გამოცდილება აქვს, უნდა წარმოადგინოს სარეკლამო საქმიანობის დამამტკიცებელი დოკუმენტაცია და პროექტები, რაც კომპანიის მიერ წარმოდგენილი წინადადების განხილვის შესაძლებლობას შექმნის;
- კონკურსანტს უნდა ჰქონდეს სახელმწიფო სტრუქტურებთან მუშაობის გამოცდილება, რაც უნდა დაადასტუროს დოკუმენტაციის ან ნამუშევრების წარმოდგენით;
- კონკურსში მონაწილე ორგანიზაცია, ვალდებულია წარმოადგინოს კონტრაქტორებისა და ქვე კონტრაქტორების საბოლოო სია, ვისთანაც ითანამშრომლებს ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში და მოგვაწოდოს მათი კვალიფიკაციისა და განხორციელებული პროექტების შესახებ სრული ინფორმაცია;
- კონკურსში მონაწილე ორგანიზაცია, ვალდებულია დაიცვას პლაგიატთან დაკავშირებით არსებული ზოგადი სტანდარტები. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მოხსნას ასეთი განაცხადი კონკურსიდან;

- გამარჯვებულ კონცეფციას სპეციალურად შექმნილი საკონკურსო კომისია და ქ. თბილისის მერია ერთობლივად შეარჩევს.
- კამპანია უნდა განხორციელდეს პირველი აქტივობიდან 6 თვის განმავლობაში;
- პროექტის დეტალური ბიუჯეტი უნდა ეფუძნებოდეს დარგის შესაბამის ბაზარზე არსებულ რეალურ ფასებს, წინააღმდეგ შემთხვევაში პროექტი არ განიხილება;
- საჭიროების შემთხვევაში, თბილისის მერიის ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტო“-მ შეიძლება, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

4. საკონკურსო წინადადების წარმოდგენის წესი:

- კომპანიებმა დოკუმენტაცია და საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ ელექტრონული ფორმით, მითითებულ მეილზე citycontest@tbilisi.gov.ge
- კომპანიის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება (კონცეფცია), არ უნდა შეიცავდეს კომპანიის მაიდენტიფიცირებელ ნიშნებს;
- განაცხადების წარმოდგენა უნდა მოხდეს გამოცხადებული ვადების დაცვით;
- განაცხადების წარმოდგენის საბოლოო ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი წინადადება აღარ მიიღება;

5. შეფასების კრიტერიუმები:

- კომისიის წევრებს, საკონკურსო წინადადებების ორი ძირითადი კომპონენტი ექნებათ შესაფასებელი: ა) კონცეფცია
  ბ) ბიუჯეტი
- თითოეული კომპონენტის შეფასება მოხდება ათბალიანი სისტემით;
- საბოლოო შეფასება განისაზღვრება კომისიის წევრების მიერ თითოეული კრიტერიუმისთვის მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლების შეფასების კრიტერიუმების ხვედრითი წონების კოეფიციენტზე ნამრავლის ჯამური მაჩვენებლით;
- შეფასების კრიტერიუმების ხვედრითი წონის კოეფიციენტები გადანაწილდება შემდეგნაირად: ა) კონცეფცია - 0,8
  ბ) ბიუჯეტი - 0.2

6. **კონკურსის განრიგი და ვადები:**

- საკონკურსო პროექტების მიღება იწარმოებს 2018 წლის 18 ივნისიდან 9 ივლისის ჩათვლით
- კონკურსის შედეგები გასაჯაროვდება არა უგვიანეს 2018 წლის 30 ივლისისა;

დამატებითი ინფორმაცია:

- *კამპანიის ფარგლებში გარე რეკლამის და პრინტ მასალების არსებობის შემთხვევაში, განთავსებისა და ბეჭდვის თანხა გათვალისწინებული უნდა იყოს კამპანიის ბიუჯეტში.*

- *თბილისის მეტროსადგურებსა და მუნიციპალურ ავტობუსებზე რეკლამის განთავსება შესაძლებელი იქნება უფასოდ (იმ დროისათვის თავისუფალ სარეკლამო ადგილებზე), თბილისის სატრანსპორტო კომპანიასთან შეთანხმებით.*
- *პროექტის განსახორციელებლად საჭირო სამუშაოები, კონკურსში გამარჯვებულსა და ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტო“-ს შორის, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ უნდა დაიწყოს;*

გამარჯვებული კომპანიის ვალდებულებები:

- *გამარჯვებული კომპანია ვალდებულია საქმის შესრულების პროცესში, ყველა დეტალი დამკვეთთან შეათანხმოს;*
- *გამარჯვებული ვალდებულია დაიცვას საკონკურსო პერიოდში მითითებული ვადები;*
- *დროულად მოახდინოს დამკვეთის ინფორმირება დაგეგმილი აქტივობის ან ღონისძიების თაობაზე შესათანხმებელი საკითხების შესახებ.*

დამკვეთის ვალდებულებები:

- *შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს კომპანიის რეკომენდაციები;*
- *დროულად უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშსწორება;*

- *კამპანიის მსვლელობისას, აქტიურად იყოს ჩართული გამარჯვებული ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ აქტივობებში.*

ბრიფის, კვლევის შედეგებისა და სხვა დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მოგვმართოთ:

E-mail: citycontest@tbilisi.gov.ge

ტელ: 032 2 72 22 22; 577 11 00 75; 599 76 05 09

მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა. #7